საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

17/12/2024

MES 0 24 0001623287

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 29 აპრილის №1603 (ცენტრში რეგისტრაციის - №485020; 30/04/2024) წერილით წარმოდგენილ იქნა შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს სააკრედიტაციო

განაცხადი "ფინანსების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2024 წლის 29 მაისის №595303 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტი სეუ ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 30 ივლისის №920981 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "ფინანსების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შეფასების მიზნით განახორციელა 2024 წლის 09, 10 და 11 სექტემბერს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**x**			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 3 დეკემბერს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის,

ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 12 ხმით არცერთის წინააღმდეგ:

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2031 წლის 03 დეკემბერი).
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "ფინანსების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების", "ბიზნესის მენეჯმენტი და ციფრული ტექნოლოგიების"ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "ადამიანური რესურსების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 17 დეკემბრის №1619799 ოქმის № 1 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს სწავლის შედეგების ფორმულირების უფრო მკაფიო დიფერენცირება, ორი პარალელური პროგრამის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის
კლასტერული რჩევები:

1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზნების უფრო უნივერსალური ფორმულირების შემუშავება, იმისათვის, რომ გამარტივდეს მიზნების შიდა შედარების შესაძლებლობა. მაგალითად, ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული სხვა პროგრამებთან შედარებით.

2.3 სასურველია, სასწავლო კურსებში სწავლების პრაქტიკული მეთოდების გაძლიერება.

3.1. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა სტუდენტების სამეცნიერო აქტივობებში და საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართულობის წახალისების და ხელშეწყობის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ

მეტ ინფორმირებულობას და ხელმისაწვდომობას, აკადემიური და პროფესიული განვითარების მიზნით.
5.2. პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, სასარგებლო იქნება მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი გარე შეფასების განხორციელება.

ინდივიდუალური რჩევები:
1.1. სასურველია, უნივერსიტეტმა ორი პარალელური პროგრამის არსებობიდან გამომდინარე განიხილოს ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გამოყენება.
2.1. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამაში შეიტანოს ინფორმაცია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნების შესახებ, აბიტურიენტებისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
2.1. სასურველია, მობილობის პირობებს დაემატოს ინფორმაცია ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონის შესახებ, რომელიც უნდა დადასტურდეს უნივერსიტეტის შიდა გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით.
2.2 სასურველია, არჩევითი კურსის სახით შეთავაზებული იყოს საბაკალავრო ნაშრომი ან კვლევითი პროექტი.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 03 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა